

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2021 წლის „ აგვისტო, ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე 50,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.006) და 48,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.008) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსების თაობაზე შპს „მზიური რეზორტ“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა :

1. შპს „მზიური რეზორტ“-ს მიეცეს თანხმობა ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე 50,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.006) და 48,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.008) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსებაზე, შემდეგი პირობებით: გადასასვლელი ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შუამ პირთათვის; ხიდით შეუფერხებლად სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს; შპს „მზიური რეზორტ“-ი №05.34.30.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოაწყობს თანამედროვე დიზაინის მგზავრთა მოსაცდელს; №05.34.22.328 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 2316,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული პროექტით მოაწყობს საერთო სარგებლობის სკვერს. გადასასვლელი ხიდის და სკვერის მოწყობის სამუშაოებს განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით და დაასრულებს არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მოსაწყობად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე 50,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.006) და 48,0 კვმ (ს.კ. 05.34.30.008) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ხიდის საყრდენების განთავსების თაობაზე შპს „მზიური რეზორტ“-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (№10/142111238-14, 22.04.2021წ.) მომართა შპს „მზიური რეზორტ“-მა რომლითაც განმარტავს, რომ ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №14-ში არსებული 15070,00 კვმ (ს/კ 05.34.22.120) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ახორციელებს მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობას (სმ №004369) სადაც განთავსდება საერთაშორისო სტანდარტების მქონე IHG ჯგუფის პრემიუმ კლასის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო GROWNE HOTELS & RESORTS და დამატებით სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი აპარტამენტები. აქვე განმარტავენ, რომ მათი კუთვნილი ობიექტის წინ მდებარეობს საქალაქთაშორისო ავტო მაგისტრალი, რომელზედაც ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობაა, აქვე მდებარეობს რკინიგზის ლიანდაგები, სადაც ასევე საკმაოდ სიხშირით ხდება მატარებლის გადაადგილება, და ეს ყოველივე საკმაოდ შემაფერხებელი გარემოებაა ქვეითად მოსიარულეთა მიერ უსაფრთხოდ გადაადგილების გზით ქუჩის და მატარებლის ლიანდაგების გადაკვეთის და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლის თვალსაზრისით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მათ მიერ შემუშავებულ და განსახორციელებელ პროექტში გათვალისწინებული იქნა ევროსტანდარტების შესაბამისი ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მშენებლობა. გადასასვლელი ხიდის საწყისი წერტილი იქნება მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ვინაიდან ტროტუარი არ ილევა ამის შესაძლებლობას, ხიდი გადაკვეთს ავტომაგისტრალს, რკინიგზის ლიანდაგებს და სარულების წერტილი იქნა ზღვისპირა ზოლი. ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შუამ პირთათვის, რათა ნებისმიერ პირს მათ შორის რეგიონის სტუმრებს და ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლოთ გადასასვლელი ხიდით შეუფერხებლად და კომფორტულად სარგებლობა და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლა. გადასასვლელი ხიდის დაბოლოების ადგილზე, სანაპირო ზოლში გასაკეთებელი საყრდენი კონსტრუქციისათვის საჭიროა 50,0 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი. ხოლო, ხიდის შუა ნაწილისათვის განუზღვრული საყრდენი კონსტრუქცია უნდა განთავსდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 48,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ. 22.21.03.013) ნაწილზე - 26 კვ.მ.-ზე. განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული მიწის ნაკვეთების 49 წლის ვადით უსასყიდლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემას. ამასთან, შპს „მზიური რეზორტ“-ი იღებს ვალდებულებას 48,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე არსებულ ავტობუსების გაჩერებაზე მოაწყოს თანამედროვე დიზაინის მგზავრთა მოსადგელი. ასევე, 2021 წლის 21 ივლისის #10/1421202472-14 წერილით იღებს სხვა ვალდებულებასაც, კერძოდ მათი საკუთრების მომიჯნავედ მდებარე #05.34.22.328 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 2316,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მერიასთან შეთანხმებული პროექტით მოაწყობს საერთო სარგებლობის სკვერს. გადასასვლელი ხიდის და სკვერის მოწყობის სამუშაოებს დაასრულებს არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 48,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს.კ. 22.21.03.013) გადმოეცა და იგი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია #05.34.30.008 საკადასტრო კოდით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს

სკვერის მოწყობის მიზნით ასევე საკულებაში გადმოეცა მახინჯაურში მდებარე #05.34.22.328 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 2316,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთების შპს „მზიური რეზორტ“-ის მოთხოვნით 49 წლის ვადით უსასყიდლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის ნაცვლად, შპს „მზიური რეზორტ“-ს მიეცეს მათზე გადასასვლელი ხიდის საყრდენების მოწყობის თანხმობა შემდეგი პირობებით:

-გადასასვლელი ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შშმ პირთათვის. ხიდით შეუფერხებლად სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს.

-შპს „მზიური რეზორტ“-ი #05.34.30.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოაწყობს თანამედროვე დიზაინის მგზავრთა მოსაცდელს;

-#05.34.22.328 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 2316,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მერიასთან შეთანხმებული პროექტით მოაწყობს საერთო სარგებლობის სკვერს.

-გადასასვლელი ხიდის და სკვერის მოწყობის სამუშაოებს სამუშაოებს განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით და დაასრულებს არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

შპს „მზიური რეზორტ“-ის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში ხელშეწყობა და მისგან გამომდინარე კერძო სახსრებით ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის, მგზავრთა მოსაცდელის და საერთო სარგებლობის სკვერის მოწყობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის სამემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება0 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

როგორც მოგეხსენებათ ჩვენი კომპანია (შპს „მზიური რეზორტ“-ი (ყოფილი შპს „მრმუ ჯორჯია“)) ახორციელებს ქ.ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N14-ში (ს/კოდი: 05.34.22.120) მრავალ ფუნქციური ობიექტის მშენებლობას (სმ N 005571) სადაც განთავსდება მქონე IHG ჯგუფის პრემიუმ კლასის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო CROWNE PLAZA HOTELS & RESORTS და დამატებით სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი აპარტამენტები.

ჩვენი ობიექტის წინ მდებარეობს საქალაქთაშორისო ავტო მაგისტრალი, რომელზედაც ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობაა, აქვე მდებარეობს რკინიგზის ლიანდაგები, რომელზედაც ასევე საკმაო სიხშირით ხდება მატარებლების გადაადგილება, და ეს ყოველივე საკმაოდ შემაფერხებელი გარემოებებია ქვეითად მოსიარულეთა მიერ უსაფრთხოდ გადაადგილების გზით ქუჩის და მატარებლის ლიანდაგების გადაკვეთის და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლის თვალსაზრისით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ჩვენს მიერ შემუშავებულ და განსახორციელებელ პროექტში გათვალისწინებულ იქნა ევროსტანდარტების შესაბამისი ქვეითად მოსიარულეთა გადასასველი ხიდის მშენებლობა. გადასასველი ხიდის საწყისი წერტილი იქნება ჩვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ვინაიდან ტროტუარი არ იძლევა ამის შესაძლებლობას, ხიდი გადაკვეთს ავტომაგისტრალს, რკინიგზის ლიანდაგებს და დასრულების წერტილი იქნება ზღვისპირა ზოლი; ხიდი იქნება სრულიად ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რათა ნებისმიერ პირს, მათ შორის რეგიონის სტუმრებს და ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლოთ გადასასვლელი ხიდით შეუფერხებლად და კომფორტულად სარგებლობა და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლა;

თვალსაჩინოებისათვის გთხოვთ იხილოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი გადასასველი ხიდის ესკიზი და შესაბამისი აზომვითი ნახაზები, რომელთა მიხედვითაც გადასასველი ხიდის დაბოლოების ადგილზე სანაპირო ზოლში გასაკეთებელი საყრდენი კონსტრუქციის მონტაჟისათვის საჭიროა 50.00 კვ.მ. მოცულობის მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.34.23.998) განთავსდეს შესაბამისი კონსტრუქცია, ხოლო გადასასველი

ხიდის შუა ნაწილისათვის განსაზღვრული საყრდენი კონსტრუქცია კი უნდა განთავსდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 26.00 კვ.მ. მოცულობის მიწის ნაკვეთზე ((მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 22.21.03.013));

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით უსასყიდლოდ აღნაგობის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადმოგვცეთ სსიპ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 491.00 კვ.მ.-დან მიწის ნაკვეთის საერთო ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.34.23.998) გადასასვლელი ხიდის საყრდენი კონსტრუქციის დამონტაჟებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის ნაწილი ფართი - 50.00 კვ.მ. წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად, შემდგომში არქიტექტურის სამსახურთან და სხვა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმებული გადასასვლელი ხიდის და სხვა პროექტების განხორციელებისათვის;

ასევე, ვინაიდან კონსტრუქციულად, ხიდის შუა ნაწილის საყრდენი კონსტრუქციის განლაგება აუცილებელია მოხდეს 26.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 22.21.03.013), რომელიც წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, გთხოვთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტთან გაგვიწიოთ შესაბამისი შუამდგომლობა, რათა ერთი კონცეპციის ფარგლებში მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთ(ებ)ის უსასყიდლოდ აღნაგობის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადმოცემის საკითხის გადაწყვეტა;

აქვე, გაცნობებთ, რომ ვიღებთ ვალდებულებას მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 22.21.03.013) არსებული ავტობუსის გაჩერებაზე მოვაწყოთ შესაბამისი დიზაინის, თანამედროვე გადახურული მოსაცდელი;

დანართი:

1. გადასასვლელი ხიდის ესკიზური გენ-გეგმა
2. საპროექტო ჭრილი
3. ნაკვეთების გალაგება ტოპოგრაფიულ გეგმაზე
4. საკადასტრო აზომვითი ნახაზი (ნაკვეთი 50 კვ.მ)
5. საკადასტრო აზომვითი ნახაზი (ნაკვეთი 26 კვ.მ)

პატივისცემით,

შპს „მზიური რეზორტ“-ის
დირექტორი

ზურაბ ნასყიდაშვილი.



MZIURI
GARDENS

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

როგორც მოგეხსენებათ ჩვენი 2021 წლის 22 აპრილის N: 10/42111238-14 მომართვის საფუძველზე გეცნობათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ ქ.ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N14-ში (ს/კ 05.34.22.120) მიმდინარე მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით (სადაც განთავსდება საერთაშორისო სტანდარტების მქონე IHG ჯგუფის პრემიუმ კლასის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო CROWNE PLAZA HOTELS & RESORTS და დამატებით სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი აპარტამენტები) სანაპირო ზოლთან დამაკავშირებელი გადასასველი ხიდის მშენებლობა, ვინაიდან ჩვენი ობიექტის წინ მდებარეობს საქალაქთაშორისო ავტო მაგისტრალი, რომელზედაც ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობაა, აქვე მდებარეობს რკინიგზის ლიანდაგები, რომელზედაც ასევე საკმაო სიხშირით ხდება მატარებლების გადაადგილება, და ეს ყოველივე საკმაოდ შემაფერხებელი გარემოებებია ქვეითად მოსიარულეთა მიერ უსაფრთხოდ გადაადგილების გზით ქუჩის და მატარებლის ლიანდაგების გადაკვეთის და სანაპირო ზოლთან უსაფრთხოდ მისვლის თვალსაზრისით;

ამავე წერილით ვითხოვდით გადასასველი ხიდის მშენებლობისათვის საჭირო საყრდენი კონსტრუქციების განთავსების მიზნით შესაბამისი ოდენობის მიწის ნაკვეთების (ს/კ 05.34.30.006 (50 კვ.მ) და (ს/კ 22.21.03.013 – ის (26 კვ.მ)) უსასყიდლოდ აღნაგობის უფლებით 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადმოცემას და, რომ ვიღებთ ვალდებულებას მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 22.21.03.013) არსებული ავტობუსის გაჩერებაზე მოვაწყოთ შესაბამისი დიზაინის, თანამედროვე გადახურული მოსაცდელი;

დამატებით, გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენი სამშენებლო ტერიტორიის (ს/კ 05.34.22.120) მომიჯნავედ განლაგებულია თავისუფალი მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.34.22.328), რომლის მესაკუთრეც არის აჭარის ავტონომიური რასპუბლიკა. ვითვალისწინებთ რა ჩვენი სამშენებლო ტერიტორიის სამეზობლოდ მცხოვრები მოსახლეობის სურვილს და მოთხოვნას აღნიშნული ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, მოგმართავთ წინადადებით მასზე, რომ თქვენი თანხმობის შემთხვევაში ჩვენი კომპანია აიღებს ვალდებულებას აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოაწყოს საერთო სარგებლობის სკვერი, მერიის სამსახურებთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

აღნიშნული ვალდებულების ჩვენს მიერ შესრულება შესაძლებელი გახდება მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გადასასველი ხიდის მშენებლობის თაობაზე შესაბამისი ნებართვის გაცემის შემდგომ და როგორც გადასასველი ხიდის, ასევე სკვერის მოწყობითი სამუშაოები დასრულდება არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

პატივისცემით,

შპს „მზიური რეზორტ“-ის
დირექტორი
ზურაბ ნასყიდაშვილი

